ეროვნული ბიბლიოთეკა

20 კ

◆ **ვარშავა**, 18 მაისი. პოლონელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ვ. კომარმა ბირთვის კვრაში ქვეყნის ახალი რეკორდი (19,89) დაამყარა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.

◆ **რომი**, 18 მაისი. ბ. ზაულის მემორიალში მოსპარეზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ტუნისელმა მ. გამუდიმ 5 კილომეტრზე რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით (13.41,0) გაიმარჯვა, მეორე ოლიმპიურმა ჩემპიონმა — კენიელმა ა. ბივოტიმ კი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველობა დაუთმო ბულგარელ გ. ტიხოვს — 8.35,6. ეს შედეგიც საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

◆ **ვილანოვა** (აშშ), 18 მაისი. მარტინ ლუთერ კინგის მემორიალში რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები: მსოფლიო რეკორდსმენი ბ. ბიმონი 775 სმ სიგრძეზე გადახტა. ლ. ევანსმა 400 მ 45,6 წამში გაირბინა, 110 მეტრზე თარჯრბენი ვ. დავენპორტმა მოიგო — 13,5, 100 და 200 მეტრზე რბენაში კი მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგებით (10,1 და 20,4) გაიმარჯვა ჯ. კარლოსმა. 1500-მეტრიან დისტანციაზე ოლიმპიურ ჩემპიონს ჯ. კენოს (კენია) ამერიკელმა მ. ოიკერმა აჯობა — 3.42,6. კენო ფინიშთან ნეორე იყო — 3.43,8.

ფიზკულტურელები — არჩევნებს

1970 წლის 14 ივნისი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა. მთელი ჩვენი ქვეყანა ამ დღისთვის ემზადება საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, ხალხისა, რომელმაც იზეიმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და ფაშისტურ გერმანიასთან ომში გამარჯვების 25 წლისთავი. არჩევნებისთვის მზადებაში აქტიურად ჩაებნენ ფიზკულტურული ორგანიზაციებიც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თავისი ბრძანებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა კომიტეტს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს დაავალა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა ფიზკულტურელებს შორის, ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის უპირატესობას, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაშლისთვის, — ნათქვამია ბრძანებაში, — ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სპორტული ბაზები და ნაგებობები, პრესა, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები, რეგულარულად უნდა ჩავატაროთ ლექცია-საუბრები, მოხსენებები, ფიზკულტურულ ამომრჩეველთა საღამოები, ამომრჩეველთა შეხვედრები მოწინავე სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან.

ბრძანება ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალდებულებს არჩევნებისთვის მზადების პერიოდში მოაწყონ სხვადასხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიება, საგიტაციო გარბენები, ესტაფეტები ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში. საგიტაციო მიზნით საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დათვალიერება და გამოცდა ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში.

სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები არჩევნების დღეს ძირითადად უნდა ჩატარდეს მონაწილეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან გაუშგზავრებლად.

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 96 (4090)

1970 წ. 19 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საბ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„...როგორც ქრაასდროს“

დევისის თასის გათამაშების პირველ წრეში საბჭოთა გუნდის გამარჯვება უნგრეთის ნაკრებთან ძირითადად თბილისელი ჩოგბურთელის ა. მეტრეველის ბრწყინვალე ოსტატობას უნდა მიეწეროს. საკდესმა, მაგალითად, თავისი ინფორმაცია ასე დაასათაურა: „ჩემპიონმა იხსნა დებიუტანტი“ (დებიუტანტი ვ. კოროტკოვია, რომელმაც ორივე შეხვედრა წააგო). მოგაგონებთ, მეტრეველმა ერთეულთა ორი შეხვედრა მოიგო, ამას გარდა, ლიბაჩოვთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა მატჩშიც. მოგეხსენებათ, დევისის თასის გათამაშების ყოველ მატჩში საბოლოო გამარჯვებისთვის სწორედ 3 ქულაა საჭირო.

ბუდაპეშტიდან მოსკოვში დაბრუნებულ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს ს. ანდრეევს ჰკითხეს: შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ მეტრეველი მთლიანად განთავისუფლდა ადრე მიღებული ტრავმის შედეგებისგან და სათამაშო ფორმაში შევიდაო?

ანდრეევმა უპასუხა: „მეტრეველი ახლა ისე თამაშობს, როგორც არასდროს. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ზოგიერთს უკვე აღარ სჯეროდა, თუ ჩვენი ჩოგბურთის ლიდერი თამაშის ადრინდელი კლასის აღდგენას მოახერხებდა“.

• • •

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასის I ჯგუფი

17 მაისს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:2, „პამირი“ (დუშანბე) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „ალგა“ (ფრუნზე) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ასკ“ (კიევი) 3:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ასკ“ (ხაბაროვსკი) 1:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:0.

ხარკოვში ადგილობრივმა „მეტალისტმა“ მოუგო თბილისის „ლოკომოტივს“ — 1:0.

„ა“ კლასის II ჯგუფი (II ზონა)

17 მაისი. „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ვოლგა“ (კალინინი) 0:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 2:2, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „მეტალურგი“ (ტულა) 0:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:0, „ფოლადი“ (სუმაითი) — „ვოლგა“ (გორკი) 0:1, „დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:0.

კიტო, 17 მაისი. დღეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ, ზღვის დონიდან 2850 მეტრ სიმაღლეზე, ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი ეკვადორის გუნდთან „დეპორტივა უნივერსიტარიასთან“. საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, აფონინი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, კისელიოვი, მუნტიანი, ახათიანი, პუზაჩი, ბიშოვეცი (მეტრეველი), ევრიუჟიხინი.

ლეონი, 17 მაისი. ბრაზილიის ნაკრებმა აქ ანგარიშით 5:2 დაამარცხა ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი. მექსიკელთა კარში პირველი ორი ბურთი გაიტანა პელემ, შესვენების შემდეგ კი — რიველინომ, ტოსტაომ და ცეზარმა.

მეხიკო, 17 მაისი. მექსიკის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“ — 2:0 (0:0). ორივე გოლის ავტორია ფრაგოსო.

გუდალეტი, 17 მაისი. მექსიკაში გამგზავრების წინ შვეიცის ფეხბურთელთა ნაკრებმა „ნეშტადიონზე“ 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მწვავე ბრძოლაში სძლია უნგრეთის ნაკრებს — 2:1. ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ფაზეკაშმა. შვედებმა პერსონმა და ეიდერშტედტმა მხოლოდ შესვენების შემდეგ დააწინაურეს თავიანთი გუნდი.

კუბანა, 17 მაისი. ბელგიის ნაკრებმა პირდაპირ გაანადგურა ადგილობრივი სტუდენტური გუნდი — 9:0. სამი ბურთი გაიტანა დევრინდმა.

სსრ კავშირის IX პირველობა ხელბურთში

უშეღავათოდ

მოსკოვი, 18 მაისი. გუშინ ცსკა-ს დარბაზში დაიწყო სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის მეორე წრის მატჩები.

ერთობ დაძაბული და უშეღავათო გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და კრასნოდარის „უნივერსიტეტის“ შეხვედრა. გაიმარჯვა „უნივერსიტეტმა“—17:16 (პირველ წრეში „ბურევესტნიკმა“ შინ ანგარიშით 29:20 დაამარცხა კრასნოდარელები).

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ზმეტი (ზაპოროჟიე) 14.10, „კუნცევო“ (მოსკოვი) — „სტროიმე“ (რიგა) 22:13, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ცსკა 20:17.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)	8	7	1	0	169—145	15
„კუნცევო“ (მოსკოვი)	8	5	2	1	148—127	12
„უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი)	8	5	1	2	157—146	11
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	8	4	0	4	153—144	8
ზმეტი (ზაპოროჟიე)	8	2	2	4	129—137	6
ცსკა	8	2	2	4	151—168	6
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	8	1	1	6	127—142	3
„სტროიმე“ (რიგა)	8	1	1	6	135—160	3

რასისტებს სპორტში ადგილი არა აქვთ

სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ სამხრეთ როდეზიის გუნდი მონაწილეობას არ მიიღებს ჩოგბურთელთა არაოფიციალურ მსოფლიო გუნდურ პირველობაში — დევისის თასის გათამაშებაში. მარტში ორგანიზატორებმა ამ შეჯიბრების მონაწილეთა სიიდან ამოშალეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები, რადგან მათს ქვეყანაში აპარტეიდის პოლიტიკა მეფობს. სამხრეთროდეზიელებმა ეს გაითვალისწინეს და თვითონ დაიხიეს უკან.

კაპფენბერგი (ავსტრია), 17 მაისი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები მეოთხედ გახდა ევროპის ჩემპიონი. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ეს წოდება პირველად 1957 წელს მოიპოვეს, ხოლო 1961 და 1965 წლებში შეინარჩუნეს. და აი, ახლა კონტინენტის მეოთხე გუნდურ ჩემპიონატში მათ კვლავ უძლიერესთა სახელი დაიპაკუთრეს.

ჩემპიონები მეოთხედ!

ამჟერად აქ პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, დანიის, ესპანეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები. სსრ კავშირის ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო და უკვე ბოლო, VII ტურის წინ მიუწვდომელი იყო. VI ტურში ზან აჯობა გდრ-ის გუნდს — 8:2, ხოლო დასკვნით ტურში დაამარცხა იუგოსლავიელები — 5.5:3,5 (ერთი პარტია გადაიდო). ახლა საბჭოთა ნაკრებს სულ 51,5 ქულა აქვს.

II ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ უნგრელები — 39.5 ქულა (2 გადადებული პარტია). იუგოსლავიელმა მოჭადრაკეებმა ფინიშზე ტემპს უკლეს: წინადღით წააგეს ბულგარელებთან, დღეს კი საბჭოთა მეტოქეებთან. მათ 37,5 ქულა მოაგროვეს (1 გადადებული პარტია). ჩეხოსლოვაკიის გუნდს 36 ქულა და 4 გადადებული პარტია აქვს, გდრ-ის კოლექტივს — 35,5 (4).

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის!

გულახდილი საუბარი

იყო დრო, როცა საქართველო სსრ კავშირის ნაკრებს მაღალი კლასის თითო-ოროლა მოცურავეს აწვდიდა და ფონს ამით გადიოდა. საკავშირო ტურნირებში ის თითო-ოროლა უძლიერესი და რამდენიმე შედარებით დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენი იმდენ ქულას აგროვებდნენ, რომ საქართველოს კოლექტივი ხუთეულში იმკვიდრებდა ადგილს. მაშინ ცურვის დონე შედარებით დაბალი გახლდათ, არც რეკორდები იყო მაღალი. ახლა კი რეკორდებმა ფენომენალურ სიმაღლეებს მიაღწია. სპორტსმენებმა თითქმის ყველა სპრინტერულ დისტანციაზე გადალახეს წუთის ზღვარი. სპორტის ეს სახეობა გაცილებით მასობრივი გახდა და... ბეერმა რესპუბლიკამ გაგვისწრო.

მართალია, არც ერთი წელიწადი არ გასულა, რომ საკავშირო ნაკრებში თითო წევრი მაინც არ გვყოლოდა. ბ. ნიკიტინი ი. ფუნიკოვმა შეცვალა, ფუნიკოვი — ა. ტუტაკაევმა, მერე ტუტაკაევმა ადგილი თ. ლეკვეიშვილს „დაუთმო". მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ეს დაადასტურა ბოლო წლების საკავშირო ტურნირებმაც, სადაც საქართველოს მოცურავეებმა პოზიციები თანდათან დაკარგეს და გუნდურ ჩათვლაში ხუთეულიდან ათეულში გადაინაცვლეს.

ამ მარცხის სიგნალი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამ მოგვცა. ჭროფკავშირთა შარშანდელ საკავშირო სპარტაკიადაში კიდევ უფრო უხვიროდ გამოვედით.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი დიდი ხანია ეძებს გამოსავალს, მაგრამ საქმეს ძალიან აფერხებს ბაზების სიმცირე, ბევრი სპორტსაზოგადოებისა და უწყების უმოქმედობა, მწვრთნელთა უმეტესობის უნიათობა. მწვრთნელები თითო-ოროლა ნიჭიერი მოცურავის მიღწევებს ხჯერდებიან, წლობით შეჰყურებენ სპორტსმენებს, რომლებმაც პირველი თანრიგის ან ოსტატობის კანდიდატის შედეგებს მიაღწიეს (მაგრამ მეტი უკვე არ შეუძლიათ), თანაც, მომავალი წარმატებების უსაფუძვლო იმედით მათს შემცვლელებს არც ეძებენ.

ამას წინათ რესპუბლიკურ კომიტეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელმაც ისევ და ისევ საქართველოში ცურვის მდგომარეობისა და ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების საკითხები განიხილა.

თათბირზე მოიწვიეს ცურვის სპეციალისტები, ხაოლქო და დიდი ქალაქების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები. თათბირმა მოისმინა, რა მდგომარეობაა აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, ტყიბულში, „განთიადში", „დინამოში", რას აკეთებს ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობების კათედრა ცურვის სპეციალისტთა დახმარებისთვის.

გაიმართა გულახდილი საუბარი. აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა, სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. თედეევმა, ქუთაისისა და რუსთავის ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეებმა ლ. აბაღლედიანმა და ო. ჯაბაშვილმა, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. დიდიძემ, თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის საწყლოსნო სახეობების უფროსმა მწვრთნელმა ნ. ტიმინამ, ჭიათურელმა მწვრთნელმა ვ. ანანოვმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობების კათედრის წარმომადგენელმა ა. დოლიძემ და სხვებმა მიღწევებიც აღნიშნეს და არც ნაკლოვანებები დუმალავთ. გულახდილად ილაპარაკა აჭარის მოცურავეთა მწვრთნელმა პ. კაზანოვსკიმაც, მაგრამ ზოგიერთ ნაკლს მან მაინც აუარა გვერდი. სამაგიეროდ, მისი ნათქვამი საქართველოს მოცურავეთა მთავარმა მწვრთნელმა ვ. გოიაშვილმა შეავსო.

თათბირზე ითქვა, რომ აჭარაში მოცურავეთა გუნდის გაახალგაზრდავებამ დადებითი შედეგი გამოიღო. იმჟამინდელ ოსტატ-მოცურავეთა ერთ-ერთ ლიდერ ბ. ბაბაევს, ბ. ბაბაევ-ბ. ბაბაევ-ბ. ბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციფრები და ფაქტები

◆ ჩემპიონატს ჰყავს ორი საუკეთესო ბომბარდირი: თბილისელი გ. ხოდია და მოსკოვის დინამოელი კოსტოევი. თითოეულს გატანილი აქვს 6 ბურთი. როსტოვისა და მოსკოვის არმიელების — პროსკურინისა და ფედოტოვის ანგარიშზეა 5-5 გოლი. 3-3 ბურთი გაიტანეს ვეკუამ („ტორპედო", ქუთაისი), კუტიავაძემ („დინამო", თბილისი), ბიშოვეცმა („დინამო", კიევი), პოლიკარპოვმა (ცსკა), უნანოვმა („ზენიტი"), ჰუსაინოვმა („სპარტაკი", მოსკოვი).

◆ გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა აქვს ცსკა-ს (+13), ხოლო ყველაზე უარესი — „ფახთაქორს" და ორჯონიკიძის „სპარტაკს" (—12).

◆ ყველაზე მეტი გამარჯვება შოიპოვეს თბილისის, მოსკოვისა და კიევის დინამოელებმა (5-5), არც ერთი მოგება არა აქვთ ორჯონიკიძელებს.

◆ დაუმარცხებლად იბრძვის მხოლოდ ერთი გუნდი — „ნევთჩი".

◆ ყველაზე მეტი ბურთი (15) გაიტანეს მოსკოვის არმიელებმა, ყველაზე ცოტა (4) — მინსკის დინამოელებმა.

◆ ყველაზე მეტი ბურთი გაუშვა „ფახთაქორმა" — 18, ყველაზე ნაკლები — მოსკოვის „დინამომ" — 1.

◆ „ჰეტ-თრიკი" (3 და მეტი ბურთი ერთ თამაშში) ჯერ არ შეუსრულებია არც ერთ ფეხბურთელს.

◆ სტუმარ-მასპინძელთა დამოკიდებულებაში ასეთი დეტალებია გამოსარჩევი: მასპინძელთათვის ყველაზე ეფექტიანი იყო I და IX ტურები, როცა მათ 13-13 ქულა აიღეს და მხოლოდ 3-3 დაკარგეს. სტუმრებმა ყველაზე უფრო იმარჯვეს IV ტურში, როცა 10 ქულა აართვეს მასპინძელ გუნდებს და მხოლოდ 6 დათმეს. მასპინძლებმა ყველაზე უფრო შედეგიანად ჩაატარეს VIII ტური (ბურთების სხვაობა 16—6), სტუმრებმა — III ტური (11—5).

◆ ყველაზე მეტი ბურთი გავიდა VIII ტურში — 22, ყველაზე ნაკლები—V ტურში. აქ 8 მატჩში სულ გატანილ იქნა 7 გოლი.

◆ დღემდე უმაღლეს ჯგუფში სულ დანიშნულია 6 პენალტი და ყველა — სტუმართა კარში. ყველა 11-მეტრიანი დარტყმა ჯერჯერობით კარის აღებით დამთავრდა. პენალტებთან ყველაზე მეტი „ურთიერთობა" აქვს „ზარიას". ამ გუნდმა ერთხელ თვითონ გაიტანა 11-მეტრიანი, ორჯერ კი საკუთარ კარში მიიღო.

◆ მინდვრიდან გაძევებულია 2 მოთამაშე: ერევნელი კაზარიანი და ლენინგრადელი გოსჩაროვი.

◆ ორმა მოთამაშემ საკუთარ კარში გაიტანა ბურთი: ბაქოელმა ი. ბაბაევმა და მოსკოვის ტორპედოელმა კრასნოვმა.

◆ დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩის მოგების პრიზისთვის ბრძოლაში წინ არიან მოსკოველი დინამოელები. მათ 3 ქულა აქვთ: 3:0 — „ზარიასთან", 4:0 — „ფახთაქორთან" და 3:0 — ორჯონიკიძის „სპარტაკთან". ცსკა-მ „ზარია" დაამარცხა ანგარიშით 4:0 და „ფახთაქორი" — 5:0. თითო ქულა აქვთ თბილისის „დინამოს", მოსკოვის „სპარტაკს" და „ნევთჩის".

◆ უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას" დაწესებული აქვს პრიზი „აგრესიული სტუმრისთვის". როსტოვის არმიელებმა 5 მატჩი ჩაატარეს სტუმრად და დაკარგეს 7 ქულა (ბურთები 6—3). მოსკოვის დინამოელებს 6 ქულა აქვთ აღებული 8 შესაძლებლიდან (ბურთები 6—0). 5-5 ქულა აქვთ კიევის „დინამოს", მოსკოვის „ტორპედოსა" და ცსკა-ს.

◆ თბილისის „დინამომ" შინ 12 შესაძლებლიდან აიღო 11 ქულა (ბურთები 11—2). სტუმრად დინამოელებმა 6 შესაძლებლიდან დაკარგეს 4 ქულა და ბურთების უარყოფითი სხვაობაც აქვთ (3—4).

◆ ქუთაისის „ტორპედომ" შინ 12-დან აიღო 5 ქულა (ბურთები 3—4). სტუმრად ტორპედოელებმა 6-დან აიღეს 3 ქულა (ბურთები 2—3).

◆ თბილისის „დინამოში" ჩემპიონატის ყველა მატჩი ჩაატარეს ხინჩაგაშვილმა, კუტიავაძემ, პეტრიაშვილმა, ლ. ნოდიამ; ქუთაისის „ტორპედოში" — წვერავამ, ხჩაიძემ, შერგელაშვილმა, ოქროპირაშვილმა, ანფიმიადიმ, ვეკუამ, ქიქავამ.

ა. სირაძე.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი — ა ზონა

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 19 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	8	7	1	0	20—4	15
„დინამო" (კიევი)	8	5	2	1	13—5	12
„შახტიორი" (დონეცკი)	8	5	1	2	15—6	11
ცსკა	8	4	2	2	13—6	10
„ტორპედო" (მოსკოვი)	10	4	2	4	17—14	10
„სპარტაკი" (მოსკოვი)	9	4	2	3	12—10	10
„ტორპედო" (ქუთაისი)	9	4	1	4	12—11	9
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	9	2	5	2	7—7	9
„ზენიტი" (ლენინგრადი)	8	2	4	2	8—7	8
„დინამო" (მინსკი)	8	2	4	2	8—10	8
„ნევთჩი" (ბაქო)	8	2	2	3	9—14	8
ასკ (დონის როსტოვი)	8	2	3	3	10—9	7
„არარატი" (ერევანი)	8	2	3	3	6—9	7
„დინამო" (თბილისი)	9	2	3	4	7—14	7
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	8	1	3	4	7—14	5
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	9	1	3	5	4—12	5
„ფახთაკორი" (ტაშკენტი)	9	0	3	6	5—21	3

უფლებიანი ბურთები

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 17 მაისი.

„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (ბრიანსკი) 0:0.

ბათუმი: პავლოვი, ჩხაიძე, ცინარიძე, სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, გიორგიადი, კვიტაიშვილი (ჭანტურია), გიორგაძე, ჩხარტიშვილი (დიმანოვი), რამიშვილი.

ბრიანსკი: პოლიაევი, ბელოვი, ხეკელიოვი, პარშინი, დიომიჩკინი, ბელოუსი, მარკელოვი, სერგეევი, მარუშკინი, ფროლენკოვი, პოდპოლზნინი.

მსაჯი ს. არაქელიანი (ერევანი).

...მე-16 წუთზე გიორგაძემ კვიტაიშვილს მიაწოდა ბურთი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო საუკეთესო მომენტის გამოყენება. შემდეგ გიორგაძეს თვითონ ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, ხოლო ტაიმის დასასრულს ასევე უშედეგოდ დამთავრდა ილურიძის გარღვევა. ბათუმელებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ შეცვენებაზე „ხელმოცარული" წავიდნენ.

ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს შესვენების შემდეგაც. 88-ე წუთზე რამიშვილმა ხუთიოდე მეტრიდან ვერ შეძლო ბურთის გატანა და გუნდი იძულებული იყო ფრეს დასჯერებოდა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით).

ფინ დაბრუნების შემდეგ

გორი. ქალაქის სტადიონი. 17 მაისი.

„დილა" (გორი) — „ლოკომოტივი" (ყალუგა) 2:0 (0:0).

„დილა": კირვალიძე, ნახარიძე, კობიაშვილი, გლოვადსკი, ამბრიაშვილი, მარლიშვილი (ჩიტაური), ჭეიშვილი, გელდიაშვილი, კაპანაძე, პაპიაშვილი, ეზუხბაია (მაღრაძე).

„ლოკომოტივი": მედნიკოვი, შიგაევი, ბლინკოვი, კახანოვი (ლებედევი), კუზმინი, ლარიონოვი (მასლენიკოვი), ბეხტენევი (სტოგლუზკო), დავიდოვი, მოროზოვი, იახტრებოვი, კონოპლიონკინი.

მსაჯი ე. შაგინიანი (ერევანი).

გორელებმა ცუდად ითამაშეს სტუმრად ვამართულ მატჩებში და სტარტზე შინ აღებულ ქულებს ვერაფერი შესძინეს. ცხადია, ამან ერთობ გააუარესა გუნდის სატურნირო მდგომარეობა და მისი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი იყო კალუგელთა დამარცხება. „დილამ" ამჯერად კარგად ითამაშა. ბრძოლის წყურვილი მასპინძლებში თავიდანვე იგრძნობოდა და ის, რომ პირველ ტაიმში ანგარიში ჯრ გახსნილა, პირველ ყოვლისა, ლოკომოტიველთა დაცვისა და მეკარის დამსახურებაა. ამასთან, ბურთის გატანის საუკეთესო მომენტები ვერ გამოიყენეს კაპანაძემ და პაპიაშვილმა.

მასპინძლები მეორე ტაიმშიც უტევდნენ. თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაღრაძე. გორელთა მარცხენა გარემარბმა 57-ე წუთზე ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა, ხოლო 71-ე წუთზე მან წამოიწყო კარგი კომბინაცია, რომელიც თვითონვე დააგვირგვინა.

ბ. გოზალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ციფრები და ფაქტები

◆ განვლილია სსრ კავშირის XXXII საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მეტი — 9 ტური. უკვე ჩატარდა 71 მატჩი. გატანილ იქნა 132 გოლი (შესვენებამდე — 52, შესვენების შემდეგ —80).

◆ მასპინძლები ტრადიციულად ჯობნიან სტუმრებს: მათ მოიგეს 33 მატჩი და ფრედ დაამთავრეს 25. მასპინძელთა ანგარიშზეა 80 გოლი, სტუმრებისაზე — 52.

◆ ერთ მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გატანილ იქნა მოსკოვისა და ორჯონიკიძის სპარტაკელთა შეხვედრაში, რომელიც მოსკოველებმა მოიგეს — 5:1. საინტერესოა, რომ ექვსივე გოლი გატანილ იქნა მეორე ტაიმში.

◆ იშვიათი ამბავი მოხდა „ზენიტისა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" შეხვედრაში. მატჩი დამთავრდა ფრედ (2:2) და ამ ოთხივე ბურთის გატანას დასჭირდა სულ 7 წუთი (56-ე წუთიდან — 63-მდე).

◆ მხოლოდ ერთ შეხვედრაში ვერ გაიტანეს გოლი თბილისის დინამოელებმა (მოსკოველ თანაკლუბელებთან).

◆ ყველა შეხვედრაში უშვებდნენ გოლს ორჯონიკიძის სპარტაკელები.

◆ ოთხმა მეკარემ ითამაშა მოსკოვის „ტორპედოს" შემადგენლობაში, სამმა — თბილისის „დინამოში".

◆ პირველი და ერთადერთი გოლი, რომელიც მოსკოვის „დინამოს" მეკარემ იაშინმა გაუშვა, ასევე პირველი და ერთადერთია მიხი ავტორის გერშკოვიჩისთვის (მოსკოვის „ტორპედო").

◆ ყველაზე მეტი ფეხბურთელი ითამაშა მოსკოვის „ტორპედომ" — 24 (შარშან მთელი სეზონის მანძილზე — 23), ყველაზე ცოტა — ქუთაისის „ტორპედომ" — 16.

◆ კიევის „დინამოსთან" მოპოვებული გამარჯვებით თბილისელებმა წლეულს ორი უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიეს: პირველად 1964 წლის მერე შეძლეს ჩემპიონატის რიგით მეორე მატჩის მოგება და პირველად 1964 წლის შემდეგ დაამარცხეს კიელები პირველ წრეში.

გ. მადუაშვილი.

რედინგი—„600-ანთა კლუბის" მეორე წევრი

ბრიუსელი, 18 მაისი. ზემქიმე წონის ბელგიელი ძალოსანი, ევროპის ჩემპიონი ხ. რედინგი მსოფლიო რეკორდსმენის, შახტელი სტუდენტის ვ. ალექსეევის შემდეგ „600-ანთა კლუბის" მეორე წევრი გახდა: ამჟამად მან 600 კგ დააგროვა: 217,5 კგ აჭიმა, 165 კგ აიტაცა და 217,5 კგ აჭარა.

სარეკორდო აჭიმვის შემდეგ შტანგის ხელმეორედ აწევისას გამოირკვა, რომ იგი უფრო მძიმეა — 218,5 კგ. ამრიგად, ბელგიელმა ერთბაშად 2,5 კგ-ით დაამძიმა ალექსეევის მსოფლიო რეკორდი.

ყველა მსოფლიო რეკორდი — ესტონელებს

ვილნიუსში გამართულმა ძალოსანთა ამხანაგობრივმა საკავშირო ჩემპიონატმა მძიმე წონაში გამარჯვება მოუტანა 24 წლის ათლეტს, ესტონელ კ. უტსარს. მაშინ მან ხამჭიდში 545 კგ დააგროვა, რაც ამერიკელი რ. ბედნარსკის მსოფლიო რეკორდს 2,5 კგ-ით ჩამოუვარდებოდა (უტსარმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცაში— 165 კგ). ესტონელი ათლეტის გამარჯვება მიხასალმებელი იყო, მაგრამ, ცხადია, ხათვალავიდან არ უნდა გამოგვეშვა ის, რომ ფიცარნაგზე არ გამოსულა ი. ტალტსი — მსოფლიო ჩემპიონი უქეიფოდ იყო.

ტალტსის „უგულებელყოფა" რომ არ შეიძლება, ეს ტალინში გუშინწინ გამართულმა შეჯიბრებამაც დაამტკიცა. ფიცარნაგზე გამოვიდნენ ესტონეთის „იიუდისა" და ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის (ტულ) ძალოსნები. ტალტსმა 195,5 კგ აჭიმა — ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მოსკოველი ვ. იაკუბოვსკის მსოფლიო რეკორდი. ხამჭიდში ამერიკელი რ. ბედნარსკის მსოფლიო რეკორდის დასამხობად მას 202,5 კგ უნდა აეკრა. პირველ ცდაზე ტალტსმა 190 კგ დაძლია, მერე კი იერიში მიიტანა 202,5 კგ-ზე და წარმატებითაც! ხამჭიდის ჯამში ტალტსმა 550 კგ დააგროვა და მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ბედნარსკის (აკვრაში მესამე ცდაზე ტალტსმა უარი თქვა). ეს შესანიშნავი ესტონელი ძალოსანის მე-20 მსოფლიო რეკორდია.

საინტერესოა, რომ ოთხივე მსოფლიო რეკორდი ამ წონით კატეგორიაში ახლა ესტონელ ათლეტებს ეკუთვნით: აჭიმვაში, აკვრასა და ხამჭიდში—ტალტსს, ხოლო ატაცაში — უტსარს.

ᲥᲐᲚᲘ ᲥᲒᲔᲑᲘ

● **მოსკოვი**, 17 მაისი. გუშინ „დინამოს" სასროლეთზე დაიწყო ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, შვეიცარიისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ტურნირი ოლიმპიური პროგრამით ტარდება. პირველ დღეს მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრიდან 60 გასროლაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა ვ. ეფიმოვმა (სსრ კავშირი) — 596 ქულა. II ადგილზეა ბ. გორევსკი (გდრ) — 593, III — ვ. პარხიმოვიჩი (სსრ კავშირი) — 592.

● **სიმფეროპოლი**, 17 მაისი. გუშინ ადგილობრივ ტრაკზე დამთავრდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება. სპრინტერულ რბოლაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფხაკაძე არ გამოსულა, რამაც მეტოქეებს ბრძოლა გაუადვილა. გაიმარჯვა არმიელმა ცელოვალნიკოვმა. II ადგილზეა კონსტანტინოვი („დინამო"), III — პოლეტაევი (ცსკა). 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში ყველას აჯობა გასპარმა (ცსკა) — 31 ქულა. ზომდევნო ადგილებზე გავიდნენ პროფკავშირთა გუნდის წევრები პანკოვი (25 ქულა) და რაპი (21). წყვილთა რბოლაში საუკეთესო იყო დინამოელების—ფეტისოვისა (თბილისი) და გოლდის დუეტი — 25 ქულა. მას ქულით ჩამორჩა „დინამოს" მეორე წყვილი — კუზნეცოვი და ბიკოვი. საერთო გუნდური პირველობა დინამოელებმა მოიგეს. II ადგილზეა არმიელთა კოლექტივი, III — პროფკავშირთა ნაკრები.

● **რიაზანი**, 17 მაისი. გუშინ ამ ქალაქის მახლობლად გაიმართა 30-კილომეტრიანი გარბენი გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" პრიზზე. ფინიშთან პირველი იყო ვ. ზოტოვი (უზბეკეთი) — 1:35.00.

● **ვილნიუსი (აშშ)**, 17 მაისი. **მარტინ ლუთერ კინგის აქ გამართულ მემორიალში გუშინ თავი ისახელა ამერიკელმა რ. ბრაუნმა, რომელიც 220 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაეცალა. ეს საუკეთესო ნახტომია წლეულს მსოფლიოში.**

● **პრაღა**, 17 მაისი. 20 წლის ი. ალეკსმ გუშინ ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 217 სმ. ეს წლეულინდელი ევროპული სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

● **რომი**, 17 მაისი. გუშინ აქ გამართულ შეჯიბრებაში კ. პოპესკუმ (რუმინეთი) და მ. ვალენტოვამ (ჩეხოსლოვაკია) 180 სმ სიმაღლეზე გადებული თანასა გადალახეს.

● **მოსკოვი**, 17 მაისი. წლეულინდელ სეზონში პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს საბჭოთა რეგბისტებმა: ადგილობრივმა „ფილიმ" თავის მოედანზე სძლია ძლიერსა და გამოცდილ მეტოქეს — გდრ-ის თერთმეტგზის ჩემპიონს — ჰენიგსდორფის გუნდს — 11:3.

შურკოვსკი პირველობას არ თმობს

ვროცლავი, 17 მაისი. მშვიდობის ტრადიციულმა, XXIII ველოსრბოლამ დღეს პოლონეთის მიწაზე გადმოინაცვლა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეკრალოვეში ერთდღიანი დასვენების შემდეგ მოასპარეზეებმა V ეტაპის (181 კმ) სტარტი აიღეს. როგორც ცნობილია, 4 ეტაპის (622 კმ) შემდეგ პოლონელები გუნდურ ჩათვლაშიც (59-23.24) ყველას სჯობდნენ და პირადშიც (შურკოვსკი — 14:49.47).

პოლონელმა ველოსიპედისტებმა ამჯერადაც არ შეირცხვინეს თავი. ვროცლაველებისთვის განსაკუთრებით ხასიათსრულო იყო თავიანთი თანაქალაქელის, 24 წლის რ. შურკოვსკის საუცხოო საფინიშო ბიძგი, რამაც მას წარმატება მოუტანა ქალაქის სტადიონის ახლო მისადგომებთან. ეს ბრწყინვალე მრბოლელი შურდულივით შეეჭრა სტადიონის ბილიკზე და პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი — 4:46.07. ცხადია, იგი რბოლის ლიდერის ყვითელ მაისურს ინარჩუნებს.

ვროცლაველები ხუმრობდნენ: რიშარდა ამ ქალაქის ასავალ-დასავალი ხუთი თითივით იცის (შურკოვსკი ავტომობილის მძღოლია) და გამარჯვებას აბა ვის დაუთმობდა!

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ი. მიხაილოვი, რომელმაც XV ადგილი დაიკავა — 4:47.07. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები კვლავ V ადგილზეა (78-38.56), ლიდერი — პოლონეთის კოლექტივს 8.5 წუთით ჩამორჩა. II ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელები, III — გდრ-ის წარმომადგენლები, IV — ფრანგები.

პირად ჩათვლაში II ადგილზეა ზ. ხანუშჩიკი, რომელიც თანამემამულეს 1 წუთითა და 16 წამით ჩამორჩება (შურკოვსკის დრო 19-35.54). მესამეა ი. გალა (ჩეხოსლოვაკია).





ნამდვილი ემანსიპაცია

რა არის ეს, სპორტის ჭეშმარიტი სიყვარული, თუ ემანსიპაციის თავისებური ფორმა? შესაძლოა, ერთიცა და მეორეც. ყოველ შემთხვევაში, ქალთა ფეხბურთი დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით, იტალიაში, უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ქალები სჯიან ეროვნული ჩემპიონატების მატჩებს, საერთაშორისო შეხვედრებს. ქალები თამაშობენ ჩვეულებრივ ფეხბურთს: ჰყავთ მეკარეები, მცველები, ნახევარმცველები და თავდამსხმელები. ალბათ არსებობს კიდეც მათთვის გამოსადეგი ტაქტიკური სქემები. ერთი სიტყვით, ნამდვილი ემანსიპაციაა, მაგრამ...

ნუ გვიწყენენ კაცობრიობის საუკეთესო ნახევრის წარმომადგენლები, — ისინი მაინც ქალებად რჩებიან. რას იზამ, ეს უკვე ბუნების კანონია. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სტადიონზე არ გამოვარდნილა მამას დანატრებული ბავშვი მინდორზე. იმიტომ, რომ მან იცის —მამიკოს ამჟამროს არ სცალია.

სულ სხვა საქმეა ქალი, ოჯახის მეორე ბურჯი, დედა. სწორედ ამიტომ მიაჩნია პატარა ბიჭუნას, რომ უნდა იყოს იქ, სადაც დედიკოა და სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ რამდენიმე წუთში თამაში იწყება.

შესვენებაზე ფეხბურთელები, ჩვეულებრივ, განვლილ 45 წუთს არჩევენ. ქალებს კი სხვა სალაპარაკო აქვთ: დასავლეთის ტრიბუნაზე ვიღაც მანდილოსანი საღამოს ტუალეტით მოსულა, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე კი რომელიღაც კინოვარსკვლავი თავის მეუღლესთან ერთად ნაყინს მიირთმევს... ვინ იცის, კიდევ რამდენი რამაა სათქმელი. საუბარში შესაძლოა თამაშის განახლებაც დაგვიწყდეთ, მაგრამ... მგონი მსაჯის სასტვენის ხმა ისმის.

ყოველი მხრიდან

ქალი ყველის საკვანძო

მსაჯი-რეკორდსმენი

ცნობილი უნგრელი საფეხბურთო არბიტრი იშტვან ჟოლტი თავისებური რეკორდის ავტორიც გახლავთ. ბოლო 20 წლის მანძილზე არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც იგი მსაჯად არ ყოფილიყოს მიწვეული. მაგალითად, ჟოლტი ატარებდა მატჩებს ჰელსინკის (1952 წელი), რომის (1960), ტოკიოს (1964) და მეხიკოს (1968) ოლიმპიურ თამაშებში. 1954 წლიდან იგი მსაჯობდა ყველა მსოფლიო ჩემპიონატში, გარდა ჩილის ასპარეზობისა. ახლა იგი მექსიკაში მიემგზავრება. როგორც ხედავთ, მსაჯებსაც ჰყავთ თავიანთი რეკორდსმენები.

უკანასკნელი შანსი

ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ფლოიდ პატერსონს 35 წელი შეუსრულდა.

„ცხოვრება თავისას მოითხოვს და მაიძულებს ვიშრომო, — განუცხადა პატერსონმა ჟურნალისტებს, — მე კი რინგზე გამოსვლის მეტი არაფერი შემიძლია".

და აი, ვეტერანი კვლავ გამოდის სარბიელზე. მან გადაწყვიტა 5-6 შეხვედრა ჩაატაროს უძლიერეს ამერიკელ პროფესიონალებთან. წარმატების შემთხვევაში იგი „კრივის მეფესთან" — ჯო ფრეზერთან შეხვედრის უფლებას მოიპოვებს.

— არ ვიცი, როგორ გამოვიყენებ ამ უკანასკნელ შანსს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, — გულისტკივილით ამბობს ექს-ჩემპიონი.

იყიდება საჯარო ვაჭრობით

არც ისე დიდი ხნის წინ შოტლანდიელი დენის ლოუ ყველაზე პოპულარული და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მდიდარი ფეხბურთელი იყო თავის ქვეყანაში. მან 42 მატჩში ითამაშა შოტლანდიის ეროვნული გუნდის სახელით, მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა ერთ-ერთ უძლიერეს ინგლისურ კლუბში „მანჩესტერ იუნაიტედში", მსოფლიო ნაკრების ღირსებას იცავდა „უმბლის" სტადიონზე გამართულ ცნობილ მატჩში, რომელიც ბრიტანეთის ფეხბურთის 100 წლისთავს მიეძღვნა.

გასული სეზონი ლოუსთვის უიღბლო გამოდგა — იგი რამდენიმეჯერ ზედიზედ დაშავდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერმა მატ ბასბიმ ყოფილი ლიდერის ღირსეული შემცვლელის ძებნა დაიწყო.

რა ბედი ეწია ლოუს? პირველ ყოვლისა, იგი ევრეთ წოდებულ „ტრანსფერ-ფურცელში" მოხვდა. ამ სიაში შეაქვთ იმ მოთამაშეთა გვარები, რომელთაც კლუბები საფეხბურთო აუქციონზე ყიდიან. „ლოუს ჩვენთვის წაგების მეტი არაფერი მოუტანია, — ამბობენ მანჩესტერელი საქმოსნები. — ჩვენ იგი 116 ათას გირვანქა სტერლინგად ვიყიდეთ იტალიის „ტორინოსგან", ახლა კი, დიდი-დიდი, 60 ათასად თუ გავყიდით".

იმ წვლილზე, რომელიც ლოუმ მათი კლუბის წარმატებაში შეიტანა, საქმოსნები არაფერს ამბობენ — ასეთ რამეზე ლაპარაკი „თავისუფალ სამყაროში" არ უყვართ.



ინგლისისა და შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს დენის ლოუმ თავისი გუნდის კარი... აუკარა გოლისგან იხსნა. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი: ლოუს ბურთი კარიდან გამოაქვს.

კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატი

მწარე გაკვეთილი

ლიუბლიანა, სპორტის სასახლე „ტივოლი": აი, მისამართი კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისა, რომელიც 16 მაისს დაიწყო. ამ დღის მატჩებიდან კალათბურთის ქომაგებში დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიო ჩემპიონის — სსრ კავშირისა და მსოფლიოს ორგზის ექს-ჩემპიონის — ბრაზილიის გუნდების შეხვედრა. საბჭოთა კალათბურთელებს თავდაპირველად ძალიან გაუჭირდათ დაწინაურება, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო 5 წუთში თამაშის სადავეები ხელთ იგდეს და ტაიმი საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს — 38:27. ამ წარმატებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჟარმუხამედოვის კარგმა თამაშმა. ერთი სიტყვით, საბჭოთა ნაკრები თერთმეტქულიანი სხვაობით იყო წინ.

ეს პატარა ფორა როდია, მაგრამ შესვენების შემდეგ სსრ კავშირის გუნდს პირდაპირ ვერ იცნობდით. იგი ერთობ უსუსურად თამაშობდა და ნელნელა დაკარგა უპირატესობა. როცა თამაშის დამთავრებას 7 წუთი აკლდა, ბრაზილიელებმა შესამჩნევად შეაფერხეს სხვაობა. ამ დროს ისინი მხოლოდ 3 ქულას აგებდნენ — 51:54. შემდეგ თამაში ბრაზილიელთა სასარგებლოდ წარიმართა. აი, როგორ იცვლებოდა ქულები ბოლო ხუთ წუთში: სსრ კავშირი — ბრაზილია 58:57, 59:57, 59:59, 59:60, 59:61, 61:61, 61:63, 63:63, 63:65, 63:66, 64:66. ასე დამთავრდა ეს დრამატული შეხვედრა.

საბჭოთა კალათბურთელების მარცხი იმანაც გამოიწვია, რომ მათ ბევრი საჯარიმო ტყორცნა ვერ გამოიყენეს. ეს წაგება უთუოდ მწარე გაკვეთილია!

ამ დღეს აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 88:60, ხოლო იუგოსლავიელებმა — იტალიელები — 66:63.

17 მაისს საბჭოთა ნაკრებმა გაცილებით უკეთ ითამაშა და ჩეხოსლოვაკიელებთან დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა — 98:72 (51:34).

ბრაზილიელებმა დაამარცხეს იტალიელები — 69:59, ხოლო ამერიკელებმა — ურუგვაის ნაკრები—76:39.

საბჭოთა კალათბურთელები ა. ჟარმუხამედოვი და ს. ბელოვი საუკეთესო ბომბარდირთა ხუთეულში შედიან. მათს ანგარიშზეა 26-26 ქულა. სნაიპერთა სიას სათავეში უდგას ბრაზილიელი მენონი — 35 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	18 მაისისთვის			
	მ.	წ.	ბ.	ქ.
აშშ	2	0	164—99	2
ბრაზილია	2	0	135—123	2
სსრ კავშირი	1	1	162—138	1
იუგოსლავია	1	0	66—63	1
ურუგვაი	0	1	39—76	0
იტალია	0	2	122—135	0
ჩეხოსლოვაკია	0	2	132—186	0

კალათბურთელ ქალთა XXXVII საკავშირო ჩემპიონატი

მარცხიანად დაიწყეს

ლენინგრადი, 17 მაისი. გუშინ აქ დაიწყო კალათბურთელ ქალთა XXXVII საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი, IV ტური.

პირველ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი შეხვდა ჯაუნსის „პოლიტექნიკას". თბილისელებმა შესვენებამდე კარგად ითამაშეს და ტაიმი მოიგეს კიდეც — 24:21. შესვენების შემდეგ მათ პოზიციები დათმეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 42:52. თბილისელებმა მერე შეხვედრაშიც მარცხი იწვნიეს, ამჯერად, სვერდლოვსკის „ურალმაშთან" — 64:81.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე შეხვედრის შედეგს: „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — „ურალმაში" 60:75 (28:34), „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი)—„დინამო" (მოსკოვი) 56:54 (23:30), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) 42:72 (19:38), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)— „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 50:54 (21:28).

ოცდამეთვრამეტე...

ლენინგრადი, 17 მაისი. 20-კილომეტრიან ტრადიციულ გარბენში მარშრუტით უდელნაია — სასახლის მოედანი გამარჯვება მოიპოვა ადგილობრივმა დინამოელმა რ. შარაფეტდინოვმა—1:00.54. ქვეყნის ჩემპიონს 5 ათას მეტრზე რბენაში ამ შეჯიბრებაში დებიუტი ჰქონდა. მეორე იყო მოსკოველი ერკინიგზელი ა. სუხარკოვი — 1:01.17, მესამე — ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ი. მაურინი — 1:01.19.

შეჯიბრებამ, რომელიც ამჯერად ოცდამეთვრამეტედ ჩატარდა, საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის 190 სპორტსმენს მოუყარა თავი. მათ შორის უხუცესი იყო 64 წლის ლენინგრადელი ნ. ხარიტონოვი. უფროსი ასაკის ჯგუფში პირველობდა 56 წლის ნიკოლაეველი გ. ჩაიკოვსკი.

იუნიორთაგან დისტანცია ყველაზე სწრაფად გადალახა 18 წლის სპარტაკელმა ა. მოტორინმა (იაროსლავლი) — 1:06.51.

გუნდურ ჩათვლაში თასი მოიპოვეს მოსკოველმა რკინიგზელებმა.

20 45

◆ კალუგა, 18 მაისი. კვირას აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აკრობატიკაში. I ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა, II — უკრაინის ნაკრებმა, III — მოსკოვის კოლექტივმა. ცალკეულ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: ბატუტზე — ი. ტოკარი (სტავროპოლი) და ნ. კოვშოვა (დნეპროპეტროვსკი); ბატუტზე სინქრონულ ხტომებში — მოსკოველები ა. ვოლინკინი და ი. ზაიცევი, ა. ნოვოდვორსკაია (სტავროპოლი) და ო. სტარეკინა (ტოლიატი); თავისუფალ ვარჯიშში — სტავროპოლელები გ. კრივოშეია და ვ. სკაკუნი; აკრობატულ ხტომებში — ი. უმრიხინი, (უკრაინა), ნ. ტიმოფეევა (სტავროპოლი); წყვილთა ვარჯიშში — ვ. ანანევიჩი და ა. ლავრენკოვი (ორივე — რსფსრ), გ. ვასიანინა და ი. საველიევი (ორივე — სვერდლოვსკი); ჯგუფურ ვარჯიშში — რსკა-ს ოთხეული (ი. ზოლოტოვი, შ. ვილდანოვი, ა. მაკაროვი, ვ. სლეპოკუროვი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის პირველობა



20 მაისს

„დინამო" (თბილისი) — „ფახთაკორი" (ტაშკენტი)

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 19 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში — 19 მაისს, აბონენტებზე — 19 მაისს 12-დან 19 საათამდე. საერთო გაყიდვა — 20 მაისს, 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

• • •

დუბლიორთა მატჩი შედგება რუსთავში, დღეს, 18 საათზე.

ИНДЕКС 80448 ხაკორთაველოს კ/ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ბეჭდვა, ლენინის ქ. № 14. 1 УЕ 04271